ამერიკული საერთაშორისო სკოლა ,,პროგრესი“ American International School "Progress"

# შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესის

# განვითარების შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა

2023-2030 წლები

## პრეამბულა

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს.

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა გამომდინარეობსსკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. სკოლის განვითარებისათვის აუცილებელია - სკოლის სტრატეგიის ფორმულირება, რომელშიც გაცხადებული იქნება სკოლის მიდგომა და ხედვა, რომელსაც ირჩევს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად და გათვლილია შვიდწლიან პერიოდზე. მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები, ამოცანები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.

სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება შესაძლებელია შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებითა და ობიექტური ანალიზით. შესაბამისად, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა უნდა მოხდეს პერიოდულად.

გეგმა შედგება შემდეგი ინფორმაციისგან:

- სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები)
- სტრატეგიული მიზნები და და ამოცანები;
- დასახული მიზნების რეალიზების ვადები.

**სკოლის ფილოსოფია**
**პრეამბულა**

***<u>სკოლის საქმიანობის სფერო</u>***
სკოლის საქმიანობის მიმართულებაა – ზოგადსაგანმანათლებლო სფერო

***<u>ისტორია და განვითარება</u>***

***<u>სკოლის პოლიტიკა</u>***
სკოლის მენეჯმენტი განსაზღვრავს სკოლის პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს სკოლის მიზნებს და ორიენტირებულია მოსწავლის/მშობლის მოთხოვნებზე, პასუხისმგებელია მის გავრცელებაზე სკოლის შიგნით. სკოლის პოლიტიკის აქტუალობის გადამოწმება და განახლების საჭიროება განიხილება მენეჯმენტის შეხვედრებზე.
სკოლის მთავარი მიზანი და პოლიტიკაა, წარმართოს სასწავლო პროცესი მაღალპროფესიულ დონეზე, თანამედროვე სტანდარტებისა და მოთხოვნების შესაბამისად, უზრუნველყოს მოსწავლეთა მაღალი აკადემიური მოსწრება და კვალიფიციური და ინტელექტუალური კადრების შერჩევა.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და სტრატეგიულ მიზნებს.
სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და შიდა გარემოს SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს.
სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა გამომდინარეობსსკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. სკოლის განვითარებისათვის აუცილებელია – სკოლის სტრატეგიის ფორმულირება, რომელშიც გაცხადებული იქნება სკოლის მიდგომა და ხედვა, რომელსაც ირჩევს დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად და გათვლილია შვიდწლიან პერიოდზე. მასში ასახულია სკოლის გრძელვადიანი მიზნები, ამოცანები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები.
სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება შესაძლებელია შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებითა და ობიექტური ანალიზით. შესაბამისად, სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა უნდა მოხდეს პერიოდულად.

სტრატეგიული განვითარების შვიდ წლიან გეგმის შემუშავების პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი. პროცესის ადმინისტრირებას ახდენს სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და ორგანიზაციული განვითარებელის ხელმძღვანელი. იგი უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, საჭირო ინფორმაციის

შეგროვებაზე და სხვა.
სტრატეგიული განვითარების შვიდ წლიანი გეგმის შემუშავების პროცესის წარმატებით წარმართვის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელია სტრატეგიული განვითარების შვიდ წლიანი გეგმის პროექტის შემუშავებაზე. აღნიშნული სამუშაო ჯგუფში ერთვება სკოლის სტრუქტრული ერთეულები/თანამშრომლები. ჯგუფი აფასებს სკოლის საჭიროებებს და მათი ანალიზის საფუძველზე შეიმუშავებს განვითარების სტრატეგიულ გეგმას.

## სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

**სკოლის მისიაა** ამერიკული საერთაშორისო სკოლა ,,პროგრესის'' მისიაა საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, მოზარდს ჩამოუყალიბოს ისეთი კომპეტენციები, რომელიც ხელს შეუწყობს წიგნიერი, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას, რის შედეგადაც შეძლებენ მუდმივად ცვალებად და განვითარებად სამყაროში ადაპტირებას.

**სკოლის ხედვაა –** სასწავლო საადმზრდელო პროგრამებით, გამოცდილი, კვალიფიციური და ინტელექტუალური პედაგოგების მეშვეობ უზრუნველყოს მოსწავლეების სწორ და ჯანსაღ პიროვნებებად ჩამოყალიბება, რომელთა ფასეულობებიც დამყარებული იქნება სიყვარულ ურთიერთპატივისცემასა და ადამიანობაზე. აღზარდოს ღირსეული, თავისი სამშობლოს პატრიოტი ადამიანი; იზრუნის არა მარტო ბავშ განათლებაზე, არამედ მის ფიზიკურ განვითარებაზე; გაუღვიძოს მოსწავლეებს ურთიერთდახმარებისა და პატივისცემის ჩვევები, ხელი შეუწყ განსაკუთრებული საჭიროების მქონე მოსწავლეებს; განუვითაროს მათ ტოლერანტობა.

***სკოლის ღირებულებები:***
სკოლა უპირველეს ყოვლისა, ხელმძღვანელობს სასწავლო პროცესში ჩართული პირების საუკეთესო ინტერესებით და საქმიანობას წარმართავს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

- **გამჭირვალობა:** ჩვენი საქმიანობა, ხედვები და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და წინასწარ ცნობილია ყველა დაინტერესებული პირისათვის, უზრუნველყოფილია სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის საჯაროობა.
- **მიუკერძოებლობა:** ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ სკოლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა საუკეთესო ინტერესებს.

- **თანამშრომლობა:** ჩვენ ღია ვართ დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობისათვის. კონსტრუქციულად განვიხილავთ სიახლეებს, წინადადებებს, განსხვავებულ პოზიციებსა და ორიენტირებულნი ვართ პრობლემების გადაჭრაზე.
- **ობიექტურობა:** ჩვენ მიერ განხორციელებული შეფასებები, ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას და ფაქტობრივ გარემოებებს. დადგენილი პროცედურები მაქსიმალურად გამორიცხავს შეფასებაში მონაწილე პირების სუბიექტივიზმს.
- **განვითარება და ინოვაციურობა:** სისტემატურად ვაფასებთ ჩვენს საქმიანობას და შეფასების შედეგებზე დაყრდნობით, ვგეგმავთ განვითარების ინოვაციურ გზებს. არ ვერიდებით სიახლეების დანერგვას.

**არსებული ვითარების ანალიზი**

**ძლიერი მხარეები**

1. თანამშრობლობითი გარემო;
2. მრავალფეროვანი სასწავლო რესურსები;
3. მრავალფეროვანი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება;
4. უსაფრთხო სასკოლო-სასწავლო გარემო
5. სკოლის უნფრასტრუქტურა;
6. მოსწავლთა და პედაგოგთა მხრიდან განსხვავებული აზრისა და კულტურის პატივისცემა;
7. კვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალი;
8. კვალიფიციური მასწავლებლები;
9. პროფესიულ განვითარებაზე ორიენტურებული თანამშრომლობა;
10. მრავალფეროვანი ქართული და უცხოენოვანი სასწავლო წიგნადი ფონდი;
11. ინფორმაციული ტექნოლოგიების ძლიერი ინფრასტრუქტურა;
12. სასწავლო პროგრამები;
13. საერთაშორისო კავშირები;
14. სოციალური პასუხისმგებლობა;
15. ჩრდილოეთ ცენტრალური ასოციაციის კომისიის (NCA CASI), ჩრდილოდასავლური აკრედიტაციის კომისიის (NWAC) და სკოლებისა და კოლეჯების კომისიის ასოციაციის(SACS CASI) (ამჟამად, წოდებული როგორც Cognia Accreditation), მიერ მინიჭებული ამერიკული უმაღლესი სკოლის აკრედიტაცია.

**სუსტი მხარეები:**

1. სკოლის თანამშრომლების გენდერული ბალანსი
2. კვალიფიციური კადრების, განსაკუთრებით მასწავლებლების გადინება სკოლიდან

**შესაძლებლობები:**

1. საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება ახალი ერთობლივი სასწავლო, პრაქტიკული და გამოყენებითი პროექტების განხორციელების მიზნით;
2. ინფრასტუქტურული პროექტების განხორციელება (ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საკუთარი შენობა- ნაგებობის შეძენის უზრუნველყოფა);
3. თანამშრომლობა სან –დიეგოს ამერიკული უნივერსიტეტის ნორჩ –მკვლევართა სამეცნიერო ინსტისტუტთან STEM (Scienece, Technology, Engineering and Math);
4. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისათვის, გამჭოლი კომპეტენციების მიხედვით უნარების განვითარებისათვის სასწავლო, სკოლის, რეგიონალური, საერთაშორისო პროეტების განხორციელება; სხვადასხვა ოლიმპიადებში მონაწილეობა;
5. მოსწავლეებისა და მასწავლებლების მიერ ერთობლივად სასწავლო რესურსების შექმნა;
6. ინტერაქტიული სწავლების მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში – ინტეგრირებული გაკვეთილები
7. საზაფხულო და ზამთრის შემეცნებითი ბანაკები
8. ახალი ინფრასტუქტურული პროექტების განხორციელების შესაძლებლობები;

**საფრთხეები**

9. არასტაბილური სოციალური და ეკონომიკური გარემო.
10. კონკურენციის ზრდა საგანმანათლებლო სივრცეში.
11. საგანმანათლებლო სივრცეში, ინგლისურენოვანი კვალიფიციური კადრების ნაკლებობა.
12. ***სტრატეგიული მიმართულებები:***

სკოლის შესაძლებლობებისა და გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიითა და ხედვით განსაზღვრული მიზნებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების განხორციელებისათვის შპს ამერიკული საერთაშორისო სკოლა პროგრესს

დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- ☒ სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
- ☐ უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა;
- ☐ სწავლა-სწავლების ხარისხის სრულყოფა;
- ☐ ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო კავშირების დამყარება.
- ☐ ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება;
- ☐ მოსწავლეთა მხარდაჭერა;
- ☐ სასკოლო საზოგადოების ჩართულობა;
- ☐ საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები

## 2023-2030 წლების (შვიდწლიანი) სტრატეგიული განვითარების გეგმა

### სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა

- ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- საგანმანათლებლო/სასწავლო რესურსების განახლება/შევსება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა.

სკოლისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისათვის საჭირო ფართის არსებობა და გონივრული გამოყენება; სასკოლო ინვენტარით სასწავლო დაწესებულების უზრუნველყოფა, მძლავრი ბიბლიოფონდის შექმნა, საინფორმაციო ტექნოლოგიების ბაზის განვითარება, ყველა საკლასო ოთახის აღჭურვა კომპიუტერული ტექნიკით, სპორტული ბაზის მოწესრიგება. სკოლაში შექმნილია ყველა აუცილებელი პირობა სასწავლო პროცესის წარმართვისათვის.

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023-2024 | 2024-2025 | 2025-2026 | 2026-2027 | 2027-2028 | 2028-2029 | 2029-2030 |
| **სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა** | ტექნოლოგიური ბაზის განახლება/გაძლიერება | | | | | | | |
| | სასკოლო ინვენტარის განახლება-შეძენა | | | | | | | |
| | სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს გაუმჯობესება | | | | | | | |
| | მიმდინარე სარემონტო სამუშაოების განხორციელება | | | | | | | |
| | სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, (ფართის დამატება) | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სასწავლო რესურსებისა და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის განახლება/შევსება | | | | | | | |
| | საკლასო ოთახების თვალსაჩინოე ბითა და სხვა საჭირო ინვენტარით აღჭურვა, საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსების მოძიება/გამოყენება | | | | | | | |
| | სამედიცინო კაბინეტის პერიოდული შევსება პირველადი დახმარებისათვის აუცილებელი პრეპარატებითა და ინვენტარით | | | | | | | |

## უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემო

- საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
- უსაფრთხოების ნორმების დაცვა;
- უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება.

სკოლაში სასწავლო პროცესი და ზოგადად აღზრდის სისტემა უნდა ეფუძნებოდეს სამართლიანობის, ურთიერთგაგებისა და ნდობის პრინციპებს. მოსწავლე უსაფრთხოდ და დაცულად უნდა გრძნობდეს თავს. სკოლაში შექმნილი უნდა იყოს ყველა პირობა, რათა დაკმაყოფილებული იყოს მოსწავლის ფიზიკური და მორალური უსაფრთხოების მოთხოვნილებები. სკოლაში უნდა ფუნქციონირებდეს უსაფრთხოების მკაფიოდ შემუშავებული სქემა, რომელშიც მოიაზრება დაცვის სამსახური, ვიდეო აპარატურა, სახანძრო უსაფრთხოებისა და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა, პრევენციული ღონისძიებები. სკოლამ უნდა მისცეს მოსწავლეს აუცილებელი ცოდნა კრიტიკულ სიტუაციებში მოქცევის შესახებ და განუვითაროს შესაბამისი უნარ-ჩვევები. ამ თვალსაზრისით სკოლაში უკვე ამოქმედებულია უსაფრთხოებისა და დისციპლინის მართვის მკაფიო სისტემა.

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი |
|---|---|---|

| | | 2023-2024 | 2024-2025 | 2025-2026 | 2026-2027 | 2027-2028 | 2028-2029 | 2029-2030 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა | სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის ნორმების  დაცვა | | | | | | | |
| | სკოლის ტერიტორიაზე პირთა გადაადგილების კონტროლი, ტერიტორიის დაცვა, ვიდეო-კამერების მონიტორინგი | | | | | | | |
| | უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა | | | | | | | |
| | საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მართვის მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელება | | | | | | | |

ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო კავშირების დამყარება

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023-2024 | 2024-2025 | 2025-2026 | 2026-2027 | 2027-2028 | 2028-2029 | 2029-2030 |
| ადგილობრივ და უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა, საერთაშორისო კავშირების დამყარება | თანამშრომლობ ა საზღვარგარეთი ს “ნორჩ – მკვლევართა სამეცნიერო ინსტიტუტებთან”, ენის შემსწავლელ ცენტრებთან, სასწავლო ცენტრებთან, სკოლებთან | | | | | | | |
| | მასწავლებელთა და მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობა გამოცდილების გაზიარების მიზნით | | | | | | | |
| | რეგიონალური, საერთაშორისო პროექტების განხორციელება (კონფერენციები, ოლიმპიადები, საზაფხულო და  ზამთრის შემეცნებითი ბანაკები) | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სკოლის ცნობადობის გაზრდა ქვეყნის საზღვრებს გარეთ | | | | | | | |
| | მოსწავლეების აქტიური მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებსა და ოლიმპიადებში, საერთაშორისო ფესტივალებში | | | | | | | |
| | საერთაშორისო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობ ა | | | | | | | |

სწავლა-სწავლების ხარისხის სრულყოფა

- ☒ ახალი პროგრამების შემუშავება/დანერგვა;
- ☒ სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება;
- ☒ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება;
- ☒ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდა.

სწავლა ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, მათ ინტელექტუალურ განვითარებას. ხარისხზე ორიენტირებულ სკოლაში მოსწავლე ეუფლება არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების, არამედ ცოდნის გააზრების, გამოყენების, დამოუკიდებელი დასკვნებისა და შეფასების უნარ-ჩვევებს. მოსწავლის განვითარების დინამიკის დადგენა, რეიტინგის განსაზღვრა და თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება არის სრულყოფილი და ხარისხიანი განათლების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მშობელთა ინფორმირებულობა და პროცესებში ჩართვა. სკოლა განაგრძობს ამ მიმართულებით საქმიანობის სრულყოფას, არსებული მექანიზმების დახვეწას.

ხარისხის მართვის მნიშვნელოვანი ერთეული უნდა გახდეს სკოლის საგნობრივი კათედრები, საგნის სწავლება-სწავლის ხარისხზე პასუხისმგებლობა ადმინისტრაციასთან ერთად უნდა დაეკისროს კათედრას.

კათედრები და კათედრის ხელმძღვანელები უნდა ზრუნავდნენ პროფესიული განვითარების გზების დასახვაზე, ინფორმაციის დროულად და სწორად გადაცემაზე, პედაგოგთა ურთიერთთანამშრომლობაზე, გუნდური მუშაობის პრინციპის დამკვიდრებაზე, საგნების ინტეგრირებაზე, სხვადასხვა პროექტებში, ოლიმპიადებში, პროგრამებში, კონკურსებში მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობაზე. აუცილებელია კათედრების მიერ განისაზღვროს საგნის ხარისხიანი სწავლებისათვის საჭირო სასწავლო რესურსებისა და დამატებითი ღონისძიებების ბაზა, სწავლა-სწავლების პროცესის კოორდინაციისა და მონიტორინგის სისტემა. ამ მიმართულებით სკოლას ჩატარებული აქვს სერიოზული მუშაობა. შემდეგ წლებში მოხდება

საქმიანობის დახვეწა, ცვლელებების შეტანა მიღებული შეღეგებიდან გამომდინარე.

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023-2024 | 2024-2025 | 2025-2026 | 2026-2027 | 2027-2028 | 2028-2029 | 2029-2030 |
| სწავლა-სწავლების ხარისხის სრულყოფა, | ამერიკული უმაღლესი სკოლის უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება (ინგლისურ ენაზე). | | | | | | | |
| | ინგლისური ენის გაძლიერებული სწავლება | | | | | | | |
| | უცხოური ენების გაძლიერებული სწავლება | | | | | | | |
| | ინფორმაციულ- ტექნოლოგიების და სწავლების ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში | | | | | | | |
| | სასწავლო პროცესის მონიტორინგის მექანიზმების დანერგვა და მოსწავლეთა მიღწევების შეფასების მონიტორინგი | | | | | | | |
| | სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება | | | | | | | |
| | გაკვეთილებზე დასწრება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა და პერიოდულად მონიტორინგის ჩატარება | | | | | | | |
| | მოსწავლის შეფასებისა და გაკვეთილზე დასწრების აღრიცხვის ჟურნალის ელექტრონული პროგრამის გამოყენება/შულმი ვი გაუმჯობესება და სასწავლო პროცესში მისი გამოყენების დანერგვა | | | | | | | |
| | ამერიკული უმაღლესი სკოლის აკრედიტაციის დანერგვის და განვითარების ხელშეწყობა | | | | | | | |
| | საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება | | | | | | | |

## ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება

- პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება;
- აკადემიური კორპუსის გაძლიერების მიზნით საუკეთესო კადრების მოზიდვა;
- ადმინისტრაციული/აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი ღონისძიებების ორგანიზება.

ხარისხიანი განათლებისა და ეფექტური სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა წარმოუდგენელი და შეუძლებელია თვისებრივად ახლებურად მომზადებული და პროფესიულად მუდმივად განვითარებადი მასწავლებლის გარეშე. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. დაეხმაროს პედაგოგებს პროფესიული განვითარების სქემით დასახული აქტივობების განხორციელებაში სკოლის ამოცანაა ზრუნვა პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე, რაც აუცილებელი პირობაა სკოლის სასწავლო მიზნების მისაღწევად. ამის განსახორციელებლად სკოლაში უნდა შეიქმნას პედაგოგთა პროფესიული განვითარების სისტემა, რაშიც მოიაზრება ტრენინგ-სემინარები, კვლევა, გამოცდილების გაზიარება, საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა. სკოლის პრიორიტეტია პედაგოგების წარმატებული ჩართვა სასერტიფიკაციო გამოცდებში. ამ თვალსაზრისით სკოლა ხელს შეუწყობს ტრენინგების ორგანიზებას;

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023-2024 | 2024-2025 | 2025-2026 | 2026-2027 | 2027-2028 | 2028-2029 | 2029-2030 |
| **ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარება** | ადმინისტრაციული პერსონალისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების დადგენა | | | | | | | |
| | მაღალი კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და მოზიდვა | | | | | | | |
| | მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევა, მათი განვითრებისთვის ტრენინგების სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა | | | | | | | |
| | მასწავლებელთა კონსულტირება პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე | | | | | | | |
| | მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციების შემუშავება სწავლა- სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით, მასწავლებელთა | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კოორდინირებული მუშაობა | | | | | | | |
| | შიდა და გარე საერთაშორისო პროექტებში, კონკურსებში, კონფერენციებში მასწავლებელთა ჩართულობა | | | | | | | |
| | ადამიანური რესურსების შეფასების სისტემის დანერგვა | | | | | | | |

## მოსწავლეთა მხარდაჭერა

- მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის სისტემის უზრუნველყოფა;
- დამატებითი სერვისების განვითარება;
- მოსწავლეთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

ნაყოფიერი სასწავლო პროცესის ფორმირებისთვის აუცილებელია მოწესრიგებული სასწავლო გარემო, სადაც მოსწავლეები თავს დაცულად და კომფორტულად იგრძნობენ. სკოლის მიზანია პირველ რიგში უზრუნველყოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, მოიპოვოს მისი ნდობა და შეუქმნას მას მიმღებლობითი გარემო. მხარდაჭერის სტრატეგიის გამოყენებით ხდება სწავლებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა და შემდგომში მოსწავლის აკადემიური თუ ქცევითი მიღწევების წახალისება.

მოსწავლეთა სრულფასოვანი განვითარებისათვის მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიცემა. მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად სხვადასხვა კლუბებისა და დამატებითი მომსახურების შეთავაზება, სხვადასხვა სიახლეების შეთავაზება სასკოლო საზოგადოებისათვის.

სწავლა ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა ინტერესებისა და მიდრეკილებების გამოვლენას, მათ ინტელექტუალურ განვითარებას. ხარისხზე ორიენტირებულ სკოლაში მოსწავლე ეუფლება არა მხოლოდ ინფორმაციის მიღების, არამედ ცოდნის გააზრების, გამოყენების, დამოუკიდებელი დასკვნებისა და შეფასების უნარ-ჩვევებს. მოსწავლის განვითარების დინამიკის დადგენა, რეიტინგის განსაზღვრა და თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება არის სრულყოფილი და ხარისხიანი განათლების მიღების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.

კათედრები და კათედრის ხელმძღვანელები უნდა ზრუნავდნენ სხვადასხვა პროექტებში, ოლიმპიადებში, პროგრამებში, კონკურსებში მოსწავლეთა ჩართულობაზე.

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023-2024 | 2024-2025 | 2025-2026 | 2026-2027 | 2027-2028 | 2028-2029 | 2029-2030 |
| მოსწავლეთა მხარდაჭერა | სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე კონტროლი | | | | | | | |
| | საგნობრივ ოლიმპიადებსა და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა | | | | | | | |
| | მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება | | | | | | | |
| | მოსწავლეთა და მშობელთა გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების, იდეების, საჭიროებების კვლევის მიზნით | | | | | | | |
| | ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა, წახალისება | | | | | | | |
| | რეიტინგული, სადიაგნოსტიკო წერების ორგანიზება/ჩატარება | | | | | | | |
| | რეიტინგული/სადიაგნოსტიკო წერების შედეგების საფუძველზე რეიტინგის განსაზღვრა, განვითარების დინამიკის დადგენა | | | | | | | |
| | მოსწავლეთა მხარდაჭერის ჯგუფის ხელშეწყობა | | | | | | | |
| | არსებობის შემთხვევაში სსსმ მოსწავლეების მონაწილეობის უზრუნველყოფა სკოლაში გამართულ ყველა ღონისძიებაში, მათი შესაძლებლობების გათვალისწინებით | | | | | | | |

## სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

- მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა;
- მშობელთა ჩართულობა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში;
- მშობლებთან ურთიერთობების ფორმების დახვეწა;
- მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა;
- მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება.

სკოლის წარმატებული ფუნქციონირებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის მოსწავლეებთან, მშობლებთან ურთიერთობის სისტემის ჩამოყალიბება. სასკოლო საზოგადოებისათვის ღია და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, წარმატებებსა და ინიციატივებზე. სკოლის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა, რისი აუცილებელი პირობაცაა მათი ინფორმირებულობა. სკოლის მმართველობითი კოლეგიური ორგანოების შემადგენლობა დაკომპლექტებულია როგორც სკოლის თანამშრომლების, ასევე მოსწავლეებისა და მშობლებისაგან.

შესაბამისად, უნდა გაიზარდოს სასკოლო საზოგადოების, მოსწავლეთა თვითმმართველობის, მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის და კათედრების როლი და პასუხისმგებლობა. სკოლის მართვაში სასკოლო საზოგადოების ჩართვის მიზნით სკოლასთან დაკავშირებული ნორმატიული დოკუმენტების განხილვაში სხვადასხვა დონეზე ჩართული უნდა იყოს მშობელტა და მასწავლებელთა ასოციაციის, საგნობრივი კათედრები. ხარისხზე ორიენტირებული სკოლის მნიშვნელოვანი რგოლია სკოლის ადმინისტრაცია. დირექციის მუშაობაზე დიდწილადაა დამოკიდებული სკოლის წარმატებები და წარუმატებლობა. ადმინისტრაციის მუშაობაში მთავარია გუნდურობის პრინციპი, პასუხისმგებლობის, უფლება-მოვალეობების სწორი გადანაწილება.

| სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | შესრულების პერიოდი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 2023-2024 | 2024-2025 | 2025-2026 | 2026-2027 | 2027-2028 | 2028-2029 | 2029-2030 |
| სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში | მშობლების სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ სისტემატური ინფორმირება | | | | | | | |
| | მშობელთა სასწავლო აღმზრდელობით პროცესში ჩართვასთან დაკავშირებით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება | | | | | | | |
| | მშობელთა და მასწავლებელთა ასოციაციის | | | | | | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საქმიანობის ხელშეწყობა და ჩართულობის უზრუნველყოფ ა | | | | | | | |
| | მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდასთან დაკავშირებით მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურება | | | | | | | |

## საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები

| **სტრატეგიული მიზნები** | **ამოცანები** | **შესრულების პერიოდი** | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **2023-2024** | **2024-2025** | **2025-2026** | **2026-2027** | **2027-2028** | **2028-2029** | **2029-2030** |
| **საზოგადოების მართვასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები** | სასკოლო დოკუმენტაციის რევიზია, გადახედვა, ცვლილებების შეტანა ან სრულად განახლება | | | | | | | |
| | მასწავლებლებთან და დასაქმებულებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება | | | | | | | |
| | მოსწავლე ების მშობლებთან/კანონ იერ წარმომადგენლებთ ან ხელშეკრულებების გაფორმება | | | | | | | |
| | სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება/დამტკიცება და მასში საჭიროებიდან გამომდინ არე ცვლილებ ის შეტანა და დახვეწა | | | | | | | |
| | სადამრი გებლო პროგრამების შემუშავებ ა, განახლ ება-დახვეწა | | | | | | | |
| | სკოლის პოპულარ იზაციის მიზნით სარეკლამ ო კამპანიის წარმოება | | | | | | | |
| | ამერიკული სკოლის აკრედიტა ციის მიღება და საქართვე ლოში დანერგვა /განხორციელება | | | | | | | |